თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№1

ქ. ქუთაისი 16 მაისი 2013 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ამირან ძოწენიძე	– ქ. ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარე.
ანდრო მაღლაკელიძე	–ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.
ლევან ჭანჭალეიშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.
ვასილ მებურიშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის არქიტექტური სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.
ირაკლი გიორგაძე	– ქ. ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში არსებულ ფართებში ჩასატარებელი სამუშაოების განსახორციელებლად საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესახებ.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრმა ანდრო მაღლაკელიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგთან დაკავშირებით – საკონკურსო განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის - ქალაქ ქუთაისის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში არსებულ ფართებში ჩასატარებელი სამუშაოების განსახორციელებლად საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ – ამირან ძოწენიძემ.
კომისიის წევრმა: ვასილ მებურიშვილმა და ლევან ჭანჭალეიშვილმა.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მიერ, ქალაქ ქუთაისის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში არსებულ ფართებში ჩასატარებელი სამუშაოების განსახორციელებლად საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვისათვის წარმოდგენილი განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი.
2. კონკურსი ჩატარდეს 2013 წლის 21 მაისს 12:00 საათზე.
3. საკონკურსო წინადადებების მიღების ვადათ განისაზღვროს 2013 წლის 21 მაისის 10:00 საათიდან 12:00 საათამდე პერიოდი.
4. საკონკურსო წინადადებების მიღების ადგილად განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის–ქუთაისის მერიის

სახელმწიფო შესყიდვების სამსახური (მის: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, მე–3 სართული, ოთახი №323).

5. საკონკურსო განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მის ოფიციალურ ვებ–გვერდზე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: ამირან ძოწენიძე

კომისიის წევრები:

ანდრო მაღლაკელიძე

ლევან ჭანჭალეიშვილი

ვასილ მებურიშვილი

ირაკლი გიორგაძე